

ON THE SYSTEMATIC NECESSITY OF STUDYING FINANCIAL AND INVESTMENT PROCESSES

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 11, 2025
Published: June 22, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20022025-76

Lamara Qoqiauri

Doctor of Economic Science, Professor
Leading Scientific Worker of the National
Innovative Research Institute
<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>
E-mail: lqoqiauri@yahoo.com



ABSTRACT

On the Systematic Necessity of Studying Financial-Investment Processes In this article, investment is presented as a primary fundamental economic-financial category. The nature and scale of investment are crucial for maintaining the vitality of all economic systems over an extended period. It also emphasizes the particular importance of the place and role of investments. Specifically, if the scale and intensity of investments lag behind the physical depreciation of fixed capital, the national economy will inevitably fall into a complete economic crisis. The paper also discusses new components of the modern financial-investment sector, derived from the fundamental principles of the "Financial Management" encyclopedic handbook by I. Brigham and M. Ehrhardt, specifically: the principles of forming (portfolios) of individual physical and legal entities in stock markets and (corporate finance).

- Furthermore, the investment sector is presented as the foundation for the reproduction and development of the economic system; numerous investment institutions, physical and legal entities engaged primarily in brokerage and consulting activities related to securities are outlined in this field. In this article, investments are defined as real, financial, and intellectual contributions to investment projects; investments in human capital are also described separately.

- By generalizing the author's definition of the concept of investments, the essential characteristics of investments are highlighted, as well as the subjects and objects of investment activities.

- The work also includes the key characteristics that define the essence of investments and, most importantly, thoroughly conveys the levels and aspects of the financial-investment sector; specifically:

- the concept of the financial-investment sector; its main forms, and the explanation of contradictory processes among them. Finally, the article presents several noteworthy new provisions regarding the systematic necessity of financial-investment processes.

Keywords: investment, economic system, investment process, financial and investment sphere, main characteristics of investments.

REFERENCES:

1. Askinadzi V.M.; Maksimova V.F., (2023). Investments. p. 386 (in Russian)
2. Bodie Z; Kane A; Marcus A.J. (2000). Essentials of Investments. McGraw-Hill. Irwin. Boston Burr Ridge. 812 (in English)

3. Brigham Eugene F., Ehrhardt Michael C. (2005), Financial Management. Theory and Practice. South Western. Tomson Learning. United States. p.134.
4. Downes J., Goodman J.e. (1995). Dictionary of Finance and Investment Terms. Barron's Educational Series, inc. New York. p. 920 (in English)



5. **Gitman L.J., Joehnk M.D.** (2001). Fundamentals of Investment. Translated to Georgian and filled by **L. Qoqiauri**; Tb. Publishing Finansebi. p. 747 (in Georgian)
6. **Haugen R. A.**, (1997). Modern Investment Theory. Prentle Hall. p. 748 (in English)
7. **Mosiashvili V., Tchelidze M., Khidirbegashvili N.** (2024). Financial Markets and Institutions. Tbilisi. p. 248 (in Georgian)
8. **Nozadzd M.** (2019), Financial Investments. Tbilisi: "Dani" Publishing, 355 p. at all.
9. oxford (1995) vocabulary
10. **Lamara Qoqiauri** – 2025. Investment Activities. Volume I. Theoretical Fundamentals of Investment. Tbilisi: "Kalmosani" Publishing. p. 707
11. **Qoqiauri L.** (2010). Investment Business. Technical University of Georgia. p. 1361 (in Georgian)
12. **Qoqiauri L.** (2013). Theoretical Genesis of Investments. Second Edition. Technical University of Georgia. p. 947 (in Georgian)
13. **Qoqiauri L.** (2016). Finances. Encyclopaedic

- Explanatory Dictionary. Section I. p. 1122, part II. p. 972 (in Georgian)
14. **Qoqiauri L.** (2017). Foreign Investments. Tb. Kalmosani Publishing. p. 887 (in Georgian)
 15. **Qoqiauri L., Qoqiauri N.** (2019). Financial Markets. Poland. Bielsko-Biala. ISBN 978-83-61429-159. p. 448 (in English)
 16. **Sitchinava A.**, (2010). Investments. Theory, Analysis, Organization, Management. Tb. Publishing of the Technical University of Georgia. Pg. 351 (in Georgian)
 17. **Tchantladze V.** (1987). The Issues of Theory of Finances. Tb.: Publishing of the Technical University of Georgia. p. 27 (in Georgian)
 18. **Van Horne J.C.**, (1995). Financial Managment and Policy, Prentice-Hall. p. 968 (in English)
 19. **William F Sharp; Gordon J. Alexander; Jeffery V. Bailey.** (2001). Investments. Fifth edition. Prentice Hall International, Inc. p. 1028 (in English)
 20. **Williams J.B.**, (1964). The Theory of Investment Value. Amsterdam, North-Holland Pub. Co. p. 613 (in English)

საფინანსო-საინვესტიციო პროცესების შესწავლის სისტემური აუცილებლობის შესახებ

ლამარა ქოქიაური

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეროვნული ინოვაციური საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი
<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>
ელ-ფოსტა: lqoqiauri@yahoo.com,

აბსტრაქტი

სტატიაში ინვესტირება წარმოდგენილია როგორც პირველხარისხის ფუნდამენტური ხასიათის ეკონომიკურ-ფინანსური კატეგორია. ინვესტირების ხასიათსა და მასშტაბურობაზე დამოკიდებული ყველა ეკონომიკური სისტემის სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნება დროის დიდ მონაკვეთზე. აქვეა მინიშნებული ინვესტიციების ადგილისა და როლის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. კერძოდ, თუკი ინვესტიციის მასშტაბები და ინტენსივობა ჩამორჩება ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ ცვეთას, სახალხო მეურნეობა აუცილებლად ჩავარდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში. შრომაში განხილულია აგრეთვე თანამედროვე საფინანსო-საინვესტიციო სფეროს ახალი მდგენელები, რომლებიც გამომდინარეობს ი. ბრეგჰემისა და მ. ერჰარდტის „ფინანსური მენეჯმენტის“ ენციკლოპედიური სახელმძღვანელოს ძირითადი დებულებებიდან, კერძოდ: საფონდო ბაზრები ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირების ფორმირებული პორტფელების (portfolios) აგების პრინციპები და კორპორაციული ფინანსები (corporate finance).

• საინვესტიციო სფერო აქვე განხილულია, როგორც ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებისა და განვითარების საფუძველი; მოცემულია აღნიშნულ სფეროში შემავალი მრავალრიცხოვანი საინვესტიციო ინსტიტუტები, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ძირითადად ფასიან ქალაქებთან დაკავშირებით ეწევიან საშუაშაგლო და საკონსულტაციო საქმიანობას. წინამდებარე სტატიაში ინვესტიციები განსაზღვრულია, როგორც რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური დაბანდებები

საინვესტიციო პროექტებში; ცალკე დახასიათებულია, აგრეთვე, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში;

- ინვესტიციების ცნების ავტორისეული განმარტების განზოგადებით გამოყოფილია ინვესტიციების არსებითი ნიშან-თვისებები, აგრეთვე საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები და ობიექტები.
 - შრომა მოიცავს ინვესტიციების არსის განმსაზღვრელ ძირითად მახასიათებლებს და, რაც მთავარია, საფუძვლიანად არის გადმოცემული საფინანსო-საინვესტიციო სფეროს დონეები და ასპექტები, კერძოდ, საფინანსო-საინვესტიციო სფეროს ცნება, ძირითადი ფორმები, მათ შორის, წინააღმდეგობრივი პროცესების ახსნა.
 - დაბოლოს, სტატიაში წარმოდგენილია რამდენიმე საყურადღებო სახის ახალი დებულება, საფინანსო-საინვესტიციო პროცესების შესწავლის სისტემური აუცილებლობის შესახებ.
- საკვანძო სიტყვები:** ინვესტირება, ეკონომიკური სისტემა, საინვესტიციო პროცესი, საფინანსო-საინვესტიციო სფერო, ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლები.

შესავალი

ინვესტიცია არის მიმდინარე მოხმარებაზე უარის თქმა მომავალში, შედარებით მეტი შემოსავლის შესაძლო მიღების სანაცვლოდ, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, უფრო მეტ ჯაბურ (ე.ი. მიმდინარე და მომავალ) მოხმარებას უზრუნველყოფს. ინვესტიცია მეტად რთული ცნებაა, რომელსაც არაერთგვაროვნად განმარტავენ და, პრინციპში, ძნელად უხერხებენ რეალიზებას პრაქტიკულ სიბრტყეში (ცხადია, იგულისხმება, რომ საუბარია რაციონალურ, დასაბუთებულ ინვესტიციაზე და არა სახსრების პრიმიტიულ დაბანდებაზე იმ იმედით, რომ აუცილებლად გაამართლებს და დაბანდება ერთიასად დაბრუნდება).

საყოველთაოდაა მიღებული ის ფაქტი, რომ ნებისმიერი ბიზნესის, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა და აღმავლობა რაციონალურ საინვესტიციო პოლიტიკაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული. ეს პოლიტიკა ხარჯიანი და სარისკოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ ერთი, ინვესტიციები არ არსებობს ხარჯების გარეშე – თავიდან საჭიროა სახსრების დაბანდება, ე.ი. ხარჯების განევა, და თუ გათვლები სწორი იყო, ხარჯები მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება; მეორე, შეუძლებელია

ყველა იმ გარემოების წინასწარ გამოცნობა, რომელიც ინვესტორს მომავალში ელოდება - ყოველთვის არსებობს იმის არანულოვანი ალბათობა, რომ გაღებული ინვესტიციები მთლიანად ან ნაწილობრივ დაიფარება.

ძირითადი ტექსტი

ინვესტირების შესწავლის სისტემური მეთოდები
ეკონომიკა, როგორც კვლევის ობიექტი, უამრავი სხვადასხვა დონისა და თვისებრივი ფუნქციონალური სისტემისგან შედგება, ყოველი მათგანი თვითშენარჩუნების, რაოდენობრივი და თვისებ-

რევი განვითარებისათვის ორი სახის რესურსის
შემოდინებას საჭიროებს:

- მიმდინარე, მუდმივი და პრაქტიკულად უწყვეტი ხასიათის რესურსი;
- პერიოდული, კაპიტალური ანუ ინვესტიციური სახის რესურსები;

თუ სისტემის აღწარმოება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ რესურსების მიმდინარე ნაკადის ხარჯზე, მაშინ ადგილი აქვს ერთჯერადი სისტემის არსებობას. ამ დროს იგი არ ექვემდებარება განახლებას ცვეთის მიხედვით და გაქრობა ემუქრება. მანქანებსა და მექანიზმებში ყოველთვის არის ნაწილები, დეტალები, ბლოკები და ა.შ., რომლებიც არ ექვემდებარებიან აღდგენას, გაფუჭების და/ან ცვეთის შემთხვევაში. არის ასევე მანქანები და მექანიზმები, რომლებიც არ ექვემდებარება კაპიტალურ რემონტს. ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებად მიიჩნევა მანქანებისა და მოწყობილობების კაპიტალურ რემონტზე უარის თქმა და მათი შეცვლა (მორალური და ფიზიკური ცვეთის კვალდაკვალ) ტექნიკურად უფრო სრულყოფილი მოდელებით.

თუ სისტემის აღწარმოება ხორციელდება მიმდინარე ნაკადისა და მისი გაცვეთილი (ამორტიზირებული) ნაწილებისა, თუ მთლიანად სტრუქტურის პერიოდული კაპიტალური განახლების ხარჯზე, მაშინ სახეზეა გრძელვადიანი ფუნქციონირების სისტემა. მისი არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რესურსების ინვესტირებაზე (აღწარმოებაში (მარტივი და გაფართოებული, თავდაპირველ ან თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე).

ინვესტირება პირველხარისხოვანი ფუნდამენტალური ხასიათის ეკონომიკური და ფილოსოფიური კატეგორიაა. ინვესტირების ხასიათსა და მასშტაბურობაზეა დამოკიდებული ყველა სისტემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დროის დიდ მონაკვეთზე (10, გვ.110).



ქვეყნის ეკონომიკისათვის ინვესტიციების ადგილსა და როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, თუკი ინვესტიციების მასშტაბები და ინტენსივობა ჩამორჩება ძირითადი კაპიტალის ფიზიკურ ცვეთას, სახალხო მეურნეობა აუცილებლად ჩავარდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინვესტიციებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ არა ინვესტიციური პროცესებისადმი სისტემური მიდგომის კუთხით (განსაკუთრებით მთლიანად სახალხო მეურნეობასთან მისი ურთიერთდამოკიდებულების ასპექტით) იგი შეისწავლებოდა კაპიტალდაბანდებათა და მშენებლობის ეკონომიკის, როგორც სახალხო მეურნეობის განსაკუთრებული დარგის ეფექტიანობის აქტუალური პრობლემების ჭრილში. მივაგებთ რა მისაგებელს ინვესტიციების ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე დღემდე არსებულ გამოკვლევებს, აქვე აღვნიშნავთ, რომ ინვესტიციური პროცესი ფინანსურ თეორიაში სისტემური სახით არაა გამოკვლეული და ჩამოყალიბებული საფინანსო-საინვესტიციო სფერო (სსს), როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური (ფინანსური) კატეგორია.

საფინანსო-საინვესტიციო პროცესების სისტემური განზოგადებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა არაერთი ავტორის მიერ მშენებლობის ფინანსების განსაზღვრების შემუშავებას, როგორცაა: „სამშენებლო პროგრამის დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით, მთლიანად ინვესტიციური პროცესის ყველა მონაწილის მიერ ფულადი სახსრების ფონდების გეგმაზომიერ შექმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობისა“. ამ მიმართულებითვე იგი ხსნის ფინანსების დანიშნულებას კაპიტალურ მშენებლობაში (10, გვ.110).

სხვადასხვა სფეროს ცნებები – ერთიანი სახალხო-სამეურნეო სფერო, აგროსამრეწველო სფერო (ასს), სამხედრო-სამრეწველო სფერო (სსს), ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი და ა.შ. – ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

„სფერო“, „სისტემა“, „კომპლექსი“ – ცნებები

ჩვენი კვლევა დაიწყო „სისტემის“ ცნების ანალიზით. ნათელია, რომ მთლიანობაში სახალხო მეურნეობა სისტემაა, მაგრამ არანაკლებ ნათელია ისიც, რომ საფინანსო-საინვესტიციო სფერო, აგრო-სამრეწველო სფერო და ა.შ. ერთდროულად სფერო-

ცაა და სისტემაც. იბადება კითხვა: სისტემასა და სფეროს შორის ურთიერთთანაფარდობის შესახებ.

ზოგადად, ერთი შეხედვით, ცნება „სფერო“ უფრო ტევადი და უნივერსალურია, ვიდრე ცნება „სისტემა“, თუმცა „სფერო“ „სისტემის“ ცნებასთან შედარებით ნაკლებად განსაზღვრული და მიზანმიმართულია. ბუნების ან ადამიანის მიერ შექმნილი ყველა სისტემა არსებობს თავისთავად და ვითარდება თანაბრადმოქმედი შინაგანი თუ გარეგანი ძალების სახით. როგორც ცნობილია, ბუნებრივ თუ ხელოვნურ სისტემებს ადამიანის აქტიურ ზემოქმედებაზე რეაგირების უნარი გააჩნიათ, მათ შეუძლიათ სტრუქტურის შეცვლა; მათში შეიძლება დომინანტის შეცვლა. ასეთი სისტემები შეიძლება გაერთიანდნენ და გადაიქცნენ ახალ ინტეგრირებულ სისტემებად. **საფინანსო-საინვესტიციო სფერო**, როგორც ერთიანი მთლიანი, წარმოადგენს სახელმწიფოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის (მრეწველობის დარგებისა და საწარმოების სახით) სისტემის გაერთიანებას. ანალოგიურად, აგროსამრეწველო სფერო არის სოფლის მეურნეობისა და მისი შესაბამისი სამრეწველო საწარმოებისა და დარგების სისტემების გაერთიანება.

ერთიანი სახალხო-სამეურნეო სფეროს ჩამოყალიბება არ შეიძლება შემოიფარგლოს ორი საწყისის (პოლუსის) გაერთიანებით, როგორც, მაგალითად, აგროსამრეწველო სფეროში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისა. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ერთდროულად საქმე გვაქვს სახალხო მეურნეობის მრავალ დარგთან. სიმრავლის ვარირება ხდება ამა თუ იმ ქვეყანაში და განსაკუთრებით დიდია იგი აშშ-ში, რომელსაც, როგორც ჩინეთში, კანადაში, აქვს შესაძლებლობა, განვითარდეს მონიწივე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ბაზაზე მთლიანად საკუთარი რესურსების ხარჯზე. ერთიან სახალხო-სამეურნეო სფეროდ მეურნეობის მრავალი სხვადასხვა დარგის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და გამოიყენოს ეროვნული სიმდიდრე საკუთარი ინტერესებისათვის. ქვეყნის ეკონომიკა თუ ურთიერთობს მსოფლიო ბაზართან, სახალხო მეურნეობის „მყიფე“ კონგლომერატის სახით (ანუ ყოველი საწარმო დამოუკიდებლად, სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე გადის საგარეო ბაზარზე, ხოლო ნებისმიერი უცხოელი მენარმე ქვეყანაში სარგებლობს ხშირად უფრო მეტი უფლებებით, ვიდრე ადგილობრივი მენარმე), მის ეკონომიკას არ ძალუძს ერთიანი სახალხო-სამეურნეო სფეროს სახით ფუნქციო-

ნირება. ეს იქნება მსოფლიო მეურნეობის ცუდად სტრუქტურირებული ტერიტორიული ქვესისტემა. პირიქით, ქვეყანა, რომელიც სახალხო მეურნეობის სტრუქტურირებასა და რეგულირებას ახდენს თავისი ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, ხელს უწყობს ამ მეურნეობის ერთიან სახალხო-სამეურნეო სფეროდ ჩამოყალიბებას.

შევჩერდეთ ახალ ეკონომიკურ და ფინანსურ კატეგორიაზე – საინვესტიციო კომპლექსზე (სკ).
სკ-ის არსი მდგომარეობს შემდეგში:

ა) ფინანსური და რეალური ინვესტიციური პროცესების და ნაკადების ერთიან

კომპლექსში ინტეგრაცია;

ბ) დაფინანსებისა და რეალური ინვესტირების ეკონომიკური სუბიექტების ამა თუ იმ სახის ურთიერთქმედება და/ან შერწყმა;

სკ ზემოთ შემოთავაზებული განსაზღვრების განვითარება და გაღრმავება მოითხოვს შემდეგი ეკონომიკური (ფინანსური) კატეგორიების არსის განმარტებას:

- ფინანსების (გადასაწყვეტია, შედის თუ არა ფინანსების ცნებაში კრედიტი, ინ

ვესტიციები, თუ ისინი წარმოადგენენ ფინანსებთან დონით გათანაბრებულ სისტემას);

- ინვესტირების, რეალურ და საპორტფელო ინვესტირებას შორის სხვაობის წარმოჩენით.

თანამედროვე საფინანსო-საინვესტიციო სფეროს ახალი მდგენელები

ი. ბრეკჰემი და მ. ერჰარდტი „ფინანსური მენეჯმენტის“ ენციკლოპედიური სახელმძღვანელოს მე-10 გამოცემაში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ფინანსების სფერო სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროსაგან შედგება:

- ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები;

- ინვესტიციები;

- ფინანსების ოპერატიული მართვა.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ფართო გაგებით, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვდგინოთ:

ფინანსური მენეჯმენტის ზემოთაღნიშნული სამივე განშტოება აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული კატეგორიებია. ე.ი. რა სურათი იქნება?

იმისათვის, რომ სიღრმისეულად გავერკვეთ ცნება „ფინანსებში“, აუცილებელია, არა მარტო ისტორიულად აიხსნას მისი შინაარსის ცვლილება, არამედ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების თვალთახედვით მოხდეს თანამედროვე

ფინანსების ახალი მდგენელები, საბოლოოდ და სრულად მოიხსნას ე.წ. „რკინის ფარდა“ „ფინანსების“ კატეგორიის ხელოვნურად შექმნილი „ორმაგი“ განსაზღვრის და ახსნის კუთხით;

შეიძლება დასაწყისში დიდი დამაჯერებლობით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ყოველი სიახლე, საუკუნეების განმავლობაში საყოველთაოდ მიღებული კატეგორიის, ცნების, მათი მდგენელების დამახასიათებელი თვისებების თუნდაც მცირედი ცვლილება დიდ მეცნიერულ ძალისხმევას მოითხოვს.

ინვესტიციური პროცესების შესწავლის სისტემური მეთოდები

ეკონომიკა, როგორც კვლევის ობიექტი, უამრავი სხვადასხვა დონისა და თვისებრივი ფუნქციონალური სისტემისაგან შედგება, ყოველი მათგანი თვითშენარჩუნების, რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარებისათვის ორი სახის რესურსის შემოდინებას საჭიროებს:

- მიმდინარე, მუდმივი და პრაქტიკულად უწყვეტი ხასიათის რესურსები;

- პერიოდული, კაპიტალური, ანუ ინვესტიციური სახის რესურსები.

თუ სისტემის აღწარმოება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ რესურსების მიმდინარე ნაკადის ხარჯზე, მაშინ ადგილი აქვს ერთჯერადი სისტემის არსებობას. ამ დროს იგი, ცვეთის მიხედვით, განახლებას არ ექვემდებარება და გაქრობა ემუქრება.

სისტემის აღწარმოება თუ ხორციელდება მიმდინარე ფულადი ნაკადისა და მისი გაცვეთილი (ამორტიზირებული) ნაწილებისა და მთლიანად სტრუქტურის პერიოდული კაპიტალური განახლების ხარჯზე, მაშინ სახეზეა ფულადი სახსრების გრძელვადიანი ფუნქციონირების სისტემა. მისი არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რესურსების ინვესტირებაზე აღწარმოებაში (მარტივი ან გაფართოებული, თავდაპირველ ან თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე).

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინვესტიციებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა, მაგრამ არა ინვესტიციური პროცესებისადმი სისტემური მიდგომის კუთხით (განსაკუთრებით მთლიანად სახალხო მეურნეობასთან მისი ურთიერთდამოკიდებულების ასპექტით) იგი შეისწავლებოდა კაპიტალდაბანდებათა და მშენებლობის ეკონომიკის, როგორც სახალხო მეურნეობის განსაკუთრებული დარგის ეფექტიანობის აქტუალური პრობლემების ჭრილში. მივაგებთ რა მისაგებელს, ინვესტიციების ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე, დღემდე



არსებულ გამოკვლევებს, აქვე აღვნიშნავთ, რომ ინვესტიციური პროცესის ფინანსურ თეორიაში სისტემური სახით არაა გამოკვლეული და ჩამოყალიბებული.

თვით ინვესტიციების შესახებ

ინვესტიციების სფერო სახალხო მეურნეობის დარგების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფი საინვესტიციო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა. მისი მატერიალური საფუძველია სხვადასხვა სახის საინვესტიციო რესურსები (ბუნებრივი, ტექნიკური, ფინანსური, შრომითი და სხვა), რომლებსაც შეიძლება ვიყენებდეთ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტიციებისთვის, საკუთარი მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარებაზე სახსრების დაბანდების ჩათვლით.

ინვესტიციების სფერო - ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებისა და განვითარების საფუძველია. ინვესტიციების სფერო ეკონომიკურ ურთიერთობათა ის არეალია, სადაც, როგორც წესი, მიმდინარეობს ამა თუ იმ ინოვაციის მატარებელი მეურნე სუბიექტების სტრატეგიების რეალიზება. ამ სტრატეგიების რეალიზების მთავარ ფორმად გვევლინება ინვესტიციები, რომლებიც ინვესტირების პროცესში ტრანსფორმირდება და, მაშასადამე, იდება (ჩანაფიქრი) რეალურად ისხამს ხორცს.

ინვესტიციების სფეროს შემადგენლობაში შედიან მრავალრიცხოვანი საინვესტიციო ინსტიტუტები ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ძირითადად ფასიან ქალაქებთან დაკავშირებით ეწევიან საშუაშაგლო და საკონსულტაციო საქმიანობას. ესენი არიან: საინვესტიციო ბროკერები, კონსულტანტები, კომპანიები, ფონდები, საინვესტიციო, ინოვაციური, იპოთეკური ბანკები.

ფართო გაგებით, ინვესტიციის პროცესი არის სხვადასხვა ობიექტში საინვესტიციო რესურსების დაბანდება და მათი თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ტრანსფორმირება იდეისა და ჩანაფიქრის საბოლოო რეალიზაციამდე. მთელ რიგ ნაშრომებში ინვესტიციის პროცესს განიხილავენ როგორც ქვეყანაში კაპიტალის მატების კვლავწარმოებითი პროცესის მონაწილეთა მრავალმხრივ საქმიანობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური სისტემის დინამიკასთან. ამ პოზიციიდან საინვესტიციო პროცესი ასევე, როგორც ფინანსები, საზოგადოებრივი კვლავწარმოების შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფა-

რთოდ იყენებენ იმ მიდგომას, რომლის დროსაც საინვესტიციო აქტივობა გულისხმობს იდეის დამუშავებას, საინვესტიციო პროექტის დასაბუთებას, ამ დროს შექმნილი ობიექტის საქმიანობის მართვას (მისი ლიკვიდაციის ან პროფილის შეცვლის ჩათვლით), ცვალებადი გარე პირობებისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შესაბამისად. საინვესტიციო პოტენციალი მატერიალურ საფუძველს უქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკას, რომლის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები საინვესტიციო რესურსების მონესრიგებულ ერთობლიობას ასახავენ. ეს რესურსები მოიცავს მატერიალურ-ტექნიკურ, ფინანსურ და არამატერიალურ აქტივებს (მრეწველობის ობიექტებზე საკუთრების უფლებების ფლობას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, ინფორმაციის აკუმულირებას სოციალურ ეკონომიკური, საბაზრო ურთიერთობების სფეროში, დაგროვილ გამოცდილებას და ა.შ.). ინვესტორებს განეკუთვნებიან იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც საკუთარ, ნასესხებ და მოზიდულ სახსრებს აბანდებენ სამეურნეო, ინტელექტუალურს და სხვა საქმიანობაში. დასაბანდებელი საინვესტიციო კაპიტალი შეიძლება იყოს ფინანსური რესურსები, ქონება, ინტელექტუალური და საინფორმაციო პროდუქტი.

ინვესტირება პირველხარისხოვანი ფუნდამენტური ხასიათის ეკონომიკური და ფილოსოფიური კატეგორიაა. ინვესტირების ხასიათსა და მასშტაბურობაზეა დამოკიდებული ყველა სისტემის მ.შ. ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და მისი შენარჩუნება დროის დიდ მონაკვეთზე (10, გვ. 124).

ქვეყნის ეკონომიკისათვის ინვესტიციების ადგილსა და როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, თუკი ინვესტიციებისა და ფინანსური რესურსების მასშტაბები და ინტენსივობა ჩამოჩრება ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებასა და ფიზიკურ ცვეთას, სახალხო მეურნეობა აუცილებლად ჩავარდება სრულ ეკონომიკურ კოლაფსში.

ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში (human capital investment) - მუშათა შრომის ნაყოფიერებისა და, შესაბამისად, ფულადი ანაზღაურების ასამაღლებლად გაწეული ნებისმიერი ღონისძიება (მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების გზით); მუშათა განათლების, ჯანმრთელობის გაუმჯობესების ან მუშა ძალის მობილურობის ამაღლების ხარჯები.

რეალური ინვესტიციები არის დაბანდებული ეკო-

ნომიკის დარგებში და ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალური კაპიტალის ნამატის შემოტანას, ანუ წარმოების საშუალებების მატერიალურ-ნივთიერ ღირებულებათა გადიდებას, ფინანსური მოგების მიღებას.

ფინანსური ინვესტიციები წარმოადგენენ დაბანდებას აქციებში, ობლიგაციებში, თამასუქებში, სხვა ფასიან ქალაქებსა და ინსტრუმენტებში. ასეთი დაბანდებაები თავისთავად არ იძლევიან რეალური ნივთიერი კაპიტალის ნამატს, მაგრამ ხელს უწყობენ მოგების მიღებას, მ.შ. სპეკულაციურის დროში ფასიანი ქალაქების კურსის შეცვლის, ან ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ადგილებში კურსის განსხვავების ხარჯზე.

ინვესტიციები - ეს არის რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების დაბანდბანი პროექტებში, რომელთა განხორციელებას მიეყვართ მატერიალურ-ნივთიერი და ინფორმაციული ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი (ფინანსური) სიმდიდრის ან მხოლოდ ამ უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე). როგორც ეკონომიკური კატეგორია, ინვესტიციები გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და ფორმირების მიზნით, წარმოების სრულყოფისა და გაფართოების მიზნით.

ინვესტიციაში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილავენ ორი ასპექტის ერთიანობას: რესურსები (კაპიტალურ ფასეულობები) და დაბანდება (დანახარჯები). ყველაზე უფრო ცხადად ასეთი მიდგომა წარმოდგენილია ჯ. მ. კეინსის შრომებში, რომლის აზრითაც, ინვესტიცია ეს შემოსავლის ის ნაწილია მიმდინარე პერიოდში, რომელიც არ იქნა გამოყენებული მოხმარებისათვის, კაპიტალური ქონების ფასეულობის მიმდინარე ნაზარდი მოცემული პერიოდის საწარმოო საქმიანობის შედეგად. ეს განმარტება, რომელიც არ წარმოადგენს ამომწურავს, მკვეთრად გამოყოფს ინვესტიციის ორ მხარეს: საკმარისად მკვეთრი გამოყოფა; რესურსები (აკუმულირებული შემოსავლის დაგროვების მიზნით) და დაბანდებაები (გამოყენებული რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალური ქონების ნაზარდს.

ინვესტიციების დისპოზიციური გაგების საფუძველია ის დებულება, რომლის შესაბამისადაც ინვესტირების პროცესი გულისხმობს ფინანსური

სახსრების შებოჭვას და ამით საწარმოს მიერ მათი განკარგვის თავისუფლების შეზღუდვას. ეს პროცესი, ერთის მხრივ, დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, მეორეს მხრივ კი -გავლენას ახდენს მათზე. ასეთ დაბანდებაებს შეგვიძლია ვუწოდეთ ღია სისტემები, რომლებშიც ინვესტიციების რეალიზაცია სისტემის სხვა ელემენტების ფუნქციონირებაზე ახდენს გავლენას, ინვესტიციების შედეგებზე კი ის გადანყვებილებები მოქმედებს, რომლებიც სისტემის სხვა ელემენტებს ეხება.

ინვესტიციების არსებითი ნიშან-თვისებები

ინვესტიციის ცნების განმარტებისადმი ზემო-მოყვანილი მიდგომების განზოგადებით შეგვიძლია გამოვყოთ ინვესტიციების შემდეგი ყველაზე უფრო არსებითი ნიშან-თვისებები:

- შემოსავლის მიღების პოტენციური უნარი, რომელიც ფინანსების გარეშე არ შესრულდება;
- ინვესტირების პროცესი, როგორც წესი, უკავშირდება დაგროვილი ფინანსური და ქონებრივი კაპიტალის ერთი ნაწილის გარდასახვას ეკონომიკური სუბიექტის (საწარმოს) ალტერნატიული სახის აქტივებად;
- ინვესტიციების განხორციელების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი ინვესტიციური და ფინანსურ-საკრედიტო რესურსები, რომლებსაც ახასიათებთ მოთხოვნა, მიწოდება და ფასი;
- დაბანდებათა ვადის არსებობა (ეს ვადა ყოველთვის ინდივიდუალურია და მისი წინასწარ განსაზღვრა მართებული არაა);
- დაბანდებაებს ახორციელებენ ინვესტორებად წოდებული პირები, რომელთა ინდივიდუალური მიზნები უმრავლეს შემთხვევებში (ყოველთვის არ უკავშირდება) უშუალო ეკონომიკური სარგებლის, მოგების მიღებას;
- კაპიტალის დაბანდებათა რისკის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტირების მიზნების მიღწევას და საბოლოო ფინანსური შედეგების მიღებას ალბათური ხასიათი აქვს.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად გვევლინებიან, ერთის მხრივ, თავისუფალი საინვესტიციო რესურსების მქონე მონაწილეები (ინვესტორები), ხოლო, მეორეს მხრივ, ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც საინვესტიციო რესურსებზე აქვთ მოთხოვნილება. საინვესტიციო საქმიანობის მესამე მხარეა ის ფინანსური შუამავლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საინვესტიციო ინსტიტუტების ურთიერთმოქმედებას



საინვესტიციო რესურსების მომხმარებლებთან.

ინვესტიციების არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლები

ინვესტიციების არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლებია (12, გვ. 427):

- ინვესტიციები როგორც ეკონომიკური მართვის ობიექტი;
- ინვესტიციები, როგორც დაგროვილი კაპიტალის ეკონომიკურ პროცესში ჩართვის აქტიური ფორმა;
- ინვესტიციები, როგორც ყველა ალტერნატიული ფორმით დაგროვილი კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა;
- ინვესტიციები, როგორც სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ ობიექტში კაპიტალის დაბანდების ალტერნატიული შესაძლებლობა;
- ინვესტიციები როგორც სამეწარმეო საქმიანობის ეფექტის გენერირების წყარო;
- ინვესტიციები, როგორც საბაზრო ურთიერთობათა ობიექტი;
- ინვესტიციები როგორც საკუთრებისა და განკარგვის ობიექტი;
- ინვესტიციები როგორც დროითი მჯობინების ობიექტი;
- ინვესტიციები, როგორც რისკის ფაქტორი;
- კაპიტალი, როგორც ლიკვიდობის ფაქტორის მატარებელი.

საწარმოს ინვესტიციები არის ყველა ფორმის კაპიტალის დაბანდება მისი სამეურნეო საქმიანობის განსხვავებულ ობიექტებში (ინსტრუმენტებში), რომლის მიზანია მოგების მიღება, აგრეთვე, სხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური ეფექტის მიღწევა და რომლის განხორციელება (ისევე, როგორც ფინანსების), ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს, უკავშირდება დროის, რისკისა და ლიკვიდობის ფაქტორებს.

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს დონეები და ასპექტები

რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური სფეროს ინვესტიციებისა და მათთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ფინანსური ფორმების (კატეგორიების) არსის განხილვამ და რეალური ინვესტიციების ფინანსური ეფექტურობის პრობლემის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა განგვემარტა საფინანსო-საინვესტიციო სფერო (სსს), როგორც ახალი ფინანსური კატეგორიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.

ჩვენი მოსაზრებით, სსს-ის საწყისი, თავდაპირ-

ველი განმარტება სამი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის კავშირის სახით: ფინანსური, რეალური და ინტელექტუალური ინვესტიციური პროცესების ინტეგრაციის, ფინანსური და ინვესტიციური აქტივობის სუბიექტების ურთიერთქმედების ან შერწყმის, ფინანსური და ინვესტიციური რესურსების ურთიერთკავშირის ან გაერთიანების სახით წარმოგვიდგება. სსს ცნების საფუძვლად ინტეგრაცია სამჭრილში გვევლინება: ეკონომიკური პროცესების, სამეურნეო სუბიექტების და საინვესტიციო რესურსების.

სსს ობიექტურად არსებობს სახალსო მეურნეობის სამ დონეზე:

- მიკროეკონომიკის დონეზე (საწარმოები);
- დარგთაშორისი სამეურნეო კავშირების, მ.შ. მსხვილ მრავალდარგოვან კორპორაციებში ორგანიზებული კავშირების დონეზე (მეზოეკონომიკა);
- მაკროეკონომიკის დონეზე (მთლიანად სახალხო მეურნეობაში).

მიკროდონეზე ფინანსური და რეალური საინვესტიციო აქტივობის ერთიან კომპლექსში ინტეგრაცია (საწარმოს დონეზე) ხდება ძირითადი საწარმოო ფონდების გაფართოების, განვითარების, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის განხორციელებისას (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების როგორც საიჯარო, ასევე სამეურნეო წესით წარმოებისას).

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს ძირითადი ფორმები. პირველი ფორმა (10, გვ. 138).

საინვესტიციო პროცესების (შესაბამისი საინვესტიციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული) ინტეგრირება ხდება ფინანსურ პროცესებთან, რომლებიც მიმართულია ფინანსური რესურსებით ინვესტიციების უზრუნველყოფაზე ინვესტიციური პროცესების ყველა სტადიაზე - იდეის, საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური და მარკეტინგული დასაბუთების სტადიიდან დაწყებული და მისი განხორციელების ყველა ეტაპით, ასევე ინვესტიციების ფინანსური ამოგების შემდგომი პერიოდით დამთავრებული. ამრიგად, სახეზეა სსს პირველი ნიშანი.

საწარმოს ფარგლებში მისი ქვედანაყოფები (განყოფილებები, სამსახურები და ა.შ.), რომლებიც მიზნად ისახავენ რეალური ინვესტიციური პროექტის განხორციელებას და მის ფინანსურ უზრუნველყოფას, მუშაობენ მჭიდრო ურთიერთკავშირში, რაც მოწმობს სსს მეორე ნიშნის არსებობას.

საწარმოს შიგნით ინვესტიციური პროექტის განხორციელებისას ხდება ფინანსური და რეალური

ინვესტიციური რესურსების სინთეზირება, რაც სსს მესამე ნიშნისთვისაა დამახასიათებელი.

დარგთაშორისი კავშირების დონეზე სსს გამოდის ორი ძირითადი და მესამე - შერეული ფორმით.

სსს პირველი ფორმა დარგთაშორისი კავშირების დონეზე არის მეურნეობის რამდენიმე დარგის დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური და რეალური ინვესტიციური რესურსების გაერთიანება ერთობლივი საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად. ამ მიზნით იქმნება ერთობლივი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები. მოცემულ შემთხვევაში, შეინიშნება სსს სამივე ნიშნის არსებობა. მაგალითად, ადგილი აქვს რეალური ეკონომიკის სფეროში ერთობლივი ინვესტიციური პროექტის განსახორციელებლად ფინანსური და რეალური ინვესტიციური პროცესების ერთ კომპლექსში ინტეგრაციას (პირველი ნიშანი).

ერთობლივი ინვესტიციური პროექტის მომზადებისა და განხორციელებისას დაფინანსებისა და რეალური ინვესტიციური საქმიანობის ძირითადი შეინიშნება მჭიდრო ურთიერთკავშირი მონაწილე საწარმო - ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-მმართველობით სტრუქტურებს შორის, ასევე, აღნიშნულ სფეროში ადგილი აქვს ერთობლივი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების შექმნას (მეორე ნიშანი).

დაბოლოს, ერთობლივი ინვესტიციური პროექტის რეალიზაციისას ხდება რეალური ინვესტიციური რესურსების სინთეზირება და გათლიანება (მესამე ნიშანი).

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს მეორე ფორმა (10, გვ. 139).

სსს მეორე ფორმა ეკონომიკის დარგთაშორის დონეზე დაკავშირებულია მსხვილი მრავალდარგოვანი კორპორაციის ფარგლებში სხვადასხვაგვარი რეალური ინვესტიციური პროექტების განხორციელებასთან. აქაც სახეზეა სსს სამივე ნიშანი, კერძოდ, ფინანსური და რეალური საინვესტიციო პროცესების ინტეგრაცია კორპორაციის მიერ ინვესტიციური პროექტების შესრულებისას (პირველი ნიშანი); კორპორაციაში არსებული ფინანსური და რეალური ინვესტიციური რესურსების ან ინვესტიციებიდან სესხის ან ეფექტში წილობრივი მონაწილეობის საწყისებზე გარედან მოზიდული რესურსების, განმკარგავი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების ურთიერთკავშირის, ასევე, ფინანსური და რეალური ინვესტიციური პროცესების გადაკვეთის საკვანძო

ცენტრებში ახალი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება (მეორე ნიშანი); კორპორაციის ფარგლებში ყველაზე უკეთ ხორციელდება ურთიერთკავშირი და ხდება ფინანსური და რეალური ინვესტიციური რესურსების ყველაზე მჭიდრო და მასშტაბური გაერთიანება (მესამე ნიშანი).

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს მესამე ფორმა (10, გვ.139).

სსს მესამე ფორმა ეკონომიკის დარგთაშორის დონეზე - ეს არის შერეული ფორმა, რომელიც წარმოიქმნება სსს ზემოთ ჩამოთვლილი ორი დარგთაშორისი ფორმის ურთიერთქმედებისას (ურთიერთ-შეჭრისას). სსს მესამე ფორმისათვის ყველაზე დამახასიათებელი ვარიანტია მსხვილი მრავალდარგოვანი კორპორაციის მიერ მასშტაბური საინვესტიციო პროექტის განხორციელება. ამ პროექტში მონაწილეობენ კორპორაციაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები (სსს მეორე ფორმა), ასევე მოიზიდებიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან კორპორაციაში. ამასთან, საუბარია არა საქონლისა და მომსახურების შექმნაზე მათგან (მაშინ საუბარი იქნებოდა მომწოდებლებზე და არა საინვესტიციო პროექტის მონაწილეებზე), არამედ ამა თუ იმ რესურსებით ერთობლივ საინვესტიციო პროექტში არსებით მონაწილეობაზე (წილობრივი მონაწილეობით).

ეკონომიკის დარგთაშორის დონეზე სსს სამი ფორმიდან წამყვანი და ყველაზე პერსპექტიული, ჩვენი წარმოდგენით, არის მეორე ფორმა, შევსებული პირველი ფორმის სახით, რაც ასახავს ჰპოვებს მესამე ფორმის წარმოქმნაში.

მეორე ფორმით ინვესტირების განმასხვავებელი თავისებურებაა (მას ადგილი აქვს პირველ და მესამე ფორმებშიც, მაგრამ ასე რელიეფურად არაა წარმოჩენილი) საინვესტიციო პროექტში საინვესტიციო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის უშუალო დაბანდება ფინანსური რესურსებით მისი გაშუალების გარეშე. პარალელურად, ადგილი აქვს უშუალოდ პროექტიდან ეფექტის არსებითი ნაწილის გამოყენებას ინვესტიციების შედეგად შემოტანილი სიმძლავრეებით წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების შიდაკორპორაციული მოხმარებისათვის. ამას გარდა, შესაძლებელია, წინასწარ გაიყიდოს ეს პროდუქტი და მომსახურება ბაზარზე მოხდეს მათი რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგებიდან ფინანსური რესურსების აკუმულირება.



წინააღმდეგობრივი პროცესები

სსს ძირითად ფორმაში

ზემოთ მოყვანილ სიტუაციებში ადგილი აქვს წინააღმდეგობრივ პროცესებს:

- რეალურ სფეროში, ინვესტიციური პროცესების განხორციელებისას, ვინროვდება ფინანსური რესურსების მოქმედების სფერო რეალურ ინვესტიციურ რესურსებთან მათი ურთიერთქმედების პროცესში (ეცემა რეალური ინვესტიციების ხვედრითი ფინანსტევადობა. ეს კი ნიშნავს რეალურ ინვესტიციებში გამოყენებული ფინანსური რესურსების ეკონომიას და შესაძლებელს ხდის სულ უფრო მასშტაბური რეალური ინვესტიციური პროექტების განხორციელებას მათი დაფინანსებისათვის გამოყენებული ფულადი საშუალებების შედარებით შემცირებას). რეალური საინვესტიციო პროექტების ხვედრითი ფინანსოტევადობა - ანალიზური მაჩვენებელია. იგი ავტორის მიერ შემოთავაზებულია ფინანსური რესურსების ეკონომიის ხარისხის გასაანგარიშებლად იმ პირობებში, როცა რეალური რესურსების ნაწილის ინვესტირება და ამგვარი ინვესტირების ეფექტში მონაწილეობა ხდება უშუალოდ, ფ-ს და s^1 -ფ¹ აქტების გარეშე, ინვესტირების მიერ ემისირებული ფულით გაშუალების გარეშე.

- ინვესტიციებისათვის აუცილებელი ფულადი კაპიტალის ნაწილი იცვლება რეალურ საინვესტიციო პროექტში ჩაბმული ორგანიზაციულ - მმართველობითი პოტენციალის აქტიური გამოყენებით;

- წარმოიქმნება შიდაკორპორაციული ფასები, ფულის შემცვლელები (თამასუქები და ა.შ.), ფულის შემცვლელების ნაკადი, რომელიც კორპორაციის ფარგლებში ასაშუალებს პროდუქტებისა და მომსახურების გაცვლას და რესურსების განაწილებას მის ფარგლებში. ამას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ განსაკუთრებულ შიდაკორპორაციულ ფულსა და ფასებზე დაფუძნებული განსაკუთრებული შიდაკორპორაციული ფინანსები;

- რეალური საინვესტიციო პროექტის ხვედრითი ფინანსოტევა-დობის შემცირების მეორე მხარე ასახვას ჰპოვებს ინვესტიციებში, განივებული ფინანსური რესურსების რეალური ინვესტიციური უკუგების პირდაპირპროპორციულ ზრდაში.

სსს-ანალიზი მაკროეკონომიკის დონეზე

კორპორაციული ტიპის სსს-ს განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო (სსს მეორე ფორმა ეკონომიკის დარგთაშორის დონეზე) ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ამჯერად, რომ არ დავარღვიოთ პრობლემის

განხილვის ლოგიკური თანმიმდევრობა, გადავიდეთ სსს ანალიზზე ეკონომიკის მაკროდონეზე.

ამ დონეზე ჩვენ ვაწყდებით მეთოდოლოგიური ხასიათის სერიოზულ სიძნელეს. თუკი მიკროდონესა და ეკონომიკის დარგთაშორის დონეზე სსს ანალიზი შეიძლება შემოიფარგლოს ერთადერთი საინვესტიციო პროექტის განხილვით (თუ ის რამდენიმე მიკროდონეზე ერთი საწარმოს ფარგლებში ან საწარმოთა ჯგუფის ფარგლებში დარგთაშორის დონეზე, შესაბამისად, ერთი საინვესტიციო პროექტის მისამართით გამოთქმული შენიშვნები ტირაჟირდება სხვა პროექტებზეც), მაკროდონეზე ამის გაკეთება არ შეიძლება. ნებისმიერი, თუნდაც ძალიან მსხვილი საინვესტიციო პროექტი განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის მიკროდონეს, ან მის დარგთაშორის დონეს (სხვა საქმეა, რომ მსხვილ პროექტს შეიძლება ჰქონდეს მაკროეკონომიკური მნიშვნელობა). ხარისხობრივმა ანალიზმა ეკონომიკის მიკროდონეზე უნდა მოიცვას რეალურ სფეროში საინვესტიციო პროექტების ერთობლიობა. ეს კი ითვალისწინებს მათ ერთგვარ სისტემად სტრუქტურირებას, მისი რგოლების იერარქიული დაქვემდებარებულობით. შესაბამისად, სსს მაკროდონეზე ადრე გამოვლენილ სამ ნიშანთან ერთად შეიცავს მეოთხე, დამატებით ნიშანს: ქვეყნის სახალხო მეურნეობის მასშტაბით განხორციელებული რეალური საინვესტიციო პროექტების ერთობლიობის სისტემურ სტრუქტურირებასა და იერარქიულ დაქვემდებარებას.

რეალური საინვესტიციო პროექტების ერთობლიობის სტრუქტურის ოთხი ძირითადი ხარხი

მოცემული სისტემური სტრუქტურირება ხორციელდება ოთხი ძირითადი ხერხით:

პირველი, საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების (მისი დონის, ხარისხის, მიმართულების, სტრუქტურის, მოცულობის გათვალისწინებით), სოციალური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისა და კულტურის განვითარების შედეგად ხდება სსს სტრუქტურირება საინვესტიციო პროცესების მონაწილეთა პირად-ჯგუფური ურთიერთდამოკიდებულებების გზით. ერთი შეხედვით, მოცემული გზა, შეიძლება შორს იდგეს ეკონომიკისგან სუბიექტური კომპონენტების სიჭარბის გამო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საუბარია ინფორმაციულ-სუბიექტურ პროცესებზე ადამიანთა საზოგადოების განვითარების ინდუსტრიული სტადიიდან ინფორმაციულზე გადასვლის ეპოქაში. ჩვენ შეგნებულად

გამოვიყენეთ ტერმინი „სუბიექტური“, და „არა-სუბიექტური“, რადგან მხედველობაში გვქონდა სწორედ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი მეურნეობრიობის ნიადაგზე.

ეკონომიკაში ინფორმაციულ-სუბიექტური საწყისის იგნორირებამ და ეკონომიკის ობიექტური ეკონომიკური კანონების თვითკმარი როლის დამკვიდრების მცდელობამ საბჭოთა პერიოდში მიგვიყვანა იქამდე, რომ საფინანსო-გამანაწილებელი ეკონომიკის ფასადს მიღმა ჩამოყალიბდა კრიმინალური ტიპის ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელმაც განსაზღვრულ მომენტში (1992 წლის შემდგომ) მიგვიყვანა საქართველოს ეკონომიკური და სახელისუფლებო-პოლიტიკური ცხოვრების ტოტალური კრიმინალიზაციის საშიშროებამდე.

მეორე, საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, უპირველეს ყოვლისა, მასში დამკვიდრებული ან დამკვიდრების სტადიაში მყოფი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა არსებითად განსაზღვრავს საზოგადოების სსს სტრუქტურირების ძირითად პარამეტრებს, როგორც მეურნეობრიობის მიკრო და მეზოდონეზე. საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი განსაზღვრავს მეურნეობრიობის ტიპს: საბაზრო, გეგმურ-გამანაწილებელი, შერეული. როგორც ჩანს, მეურნეობის ამ სამი ტიპის პირობებში, სსს-ს მაკროდონეზე, განსხვავებული სახე ექნება.

მესამე, კანონმდებლობა, ეკონომიკის სფეროში, მეურნეობრიობის პრაქტიკაში საკანონმდებლო აქტების დაცვის ხარისხის გათვალისწინებით, გავლენას ახდენს სსს-ზე. აღნიშნული გავლენა სინთეზირდება საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის გავლენასთან. კერძოდ, საკუთრების არსი, ხასიათი, სტრუქტურა, ურთიერთობათა მიმართულება (განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის სფეროში) ვლინდება სამეურნეო პრაქტიკაში საკანონმდებლო უზრუნველყოფის პირობებში. როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებებსა და საზოგადოების ფულად დაგროვებაზე საკუთრების სტრუქტურა, მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა ინფორმაციულ-სუბიექტური პროცესების გათვალისწინებით, აყალიბებენ საზოგადოების მოთხოვნილებებს, ხოლო ყველაფრის ერთად გათვალისწინებით საბაზრო მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი წინასწარ განსაზღვრავს საზოგადოების საინვესტიციო პროექტების ურთიერთქმედების ხასიათს, ანუ არსებით გავლენას ახდენს მაკროდონეზე სსს სისტემურ სტრუქტურირებაზე.

მეოთხე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ხასიათი, ფორმები და მეთოდები და სახელმწი-

ფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროდონეზე სსს იერარქიულ სტრუქტურას. სახელმწიფო რეგულირების მეთოდებით შეიძლება:

- საინვესტიციო აქტივობის დაქვეითება -ამა-ღლებს საზოგადოებაში;
- ეკონომიკის რეალურ სექტორში ან, პირიქით, საბირჟო სპეკულაციაში ინვესტიციების მეტი სა-რგებლიანობის მიღწევა;
- ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის წინასწარ განსაზღვრა.

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს ძირითადი ნიშნავი. პირველი ნიშანი

მაკროდონეზე სსს-ს სტრუქტურირების და მისი ელემენტების იერარქიული დაქვემდებარებულობის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე ხერხი არსებით ზემოქმედებას ახდენს სსს სამ ძირითად ნიშანზე, ახდენს მათ მოდიფიკაციას. განვიხილოთ ეს საკითხი თითოეულ ნიშანთან მიმართებაში ცალცალკე.

პირველი ნიშანი. ფინანსური და რეალური საინვესტიციო პროცესების ერთიან კომპლექსში ინტეგრაცია ხდება კონკრეტული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობისას ეკონომიკის მიკრო და მეზო დონეებზე, ხოლო ეკონომიკის მაკროდონეზე - საზოგადოების ყველა საინვესტიციო პროექტის ერთობლიობის სახით, თუმცა ეს მაკროდონისთვის არასაკმარისია. სწორედ მაკროდონეზე წარმოიქმნება ყველა ძირითადი წინაპირობა ყველა დონისა და სახის სსს-ში, საფინანსო, რეალური და ინტელექტუალური საინვესტიციო ნაკადების ინტეგრაციისათვის. დავასახელოთ მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წინაპირობები:

1. საზოგადოებაში ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირება ან, პირიქით, ყველა ფასის თვითდინებაზე მიშვება ძალზე ძლიერ გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა სახეების ფასთა თანაფარდობაზე, მ.შ. საინვესტიციო საქონელსა და მომსახურებაზე, სამომხმარებლო მომსახურებასა და საქონელზე ფასთა დონეების თანაფარდობაზე. საქონელსა და მომსახურებაზე ფასთა თანაფარდობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ინვესტიციებისათვის ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილების სიდიდესა და მათ სტრუქტურას. ფასთა დასაშვები (ოპტიმალური) პროპორციულობა საინვესტიციო პროცესების სტადიების მიხედვით მისი ამოღების სტადიის



ჩათვლით, პირობებს ქმნის ფინანსური რესურსების ერთი სტადიიდან მეორეში შეუფერხებელი გადადინებისათვის (ანუ ფინანსური რესურსების დარეგულირებული მიმოქცევისათვის საინვესტიციო ციკლის სტადიების მიხედვით); ფასების დისპროპორციულობა ხელს უშლის ფინანსური რესურსების გადადინებას საინვესტიციო ციკლის ერთი სტადიიდან მეორეში, მკვეთრად ამცირებს ფინანსური რესურსების მიმოქცევას.

2. საბანკო პროცენტის სახელმწიფო რეგულირება ხელს უწყობს ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების ინტეგრაციას პროცენტის დაბალი დონის უზრუნველყოფისას, მაგრამ მისი მაღალი დონის შემთხვევაში აშორებს ერთმანეთს ფინანსურ და რეალურ საინვესტიციო რესურსებს;

3. მწარმოებლებზე მაღალი გადასახადების დაწესება იმ პირობებში, როცა სახელმწიფო დაბეგვრის დონის ამაღლების პროპორციულად არ აფინანსებს ინვესტიციებს ბიუჯეტიდან (მითუმეტეს, როცა სახელმწიფო საერთოდ ამცირებს ინვესტიციების საბიუჯეტო დაფინანსებას), მივყავართ ფინანსურ ნაკადსა და რეალურ საინვესტიციო პროცესებს შორის გარღვევამდე. ეს უკანანსკნელი იკვეცება რეალური დაფინანსების სფეროში ფინანსური რესურსების არასაკმარისობის გამო, თუმცა, თუკი დაბეგვრის დროს, გადასახადების მაღალი დონის შესაბამისად საბიუჯეტო საშუალებების ნაწილი გამოიყენება რეალური საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, მაშინ ქვეითდება რეალური საინვესტიციო აქტივობა, და პირიქით, ის იზრდება კიდევ ბიუჯეტიდან დაფინანსებული რეალური ინვესტიციების მულტიპლიკაციური ეფექტის შედეგად;

4. ეროვნული ვალუტის კურსის შეფარდება უცხოურ ვალუტასთან (განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკის მაკროდონეზე მსოფლიო მეურნეობასთან მ.შ. მსოფლიო სავალუტო და სასაქონლო ბაზრებთან მისი ურთიერთქმედების გათვალისწინებით) არსებით გავლენას ახდენს საფინანსო ნაკადების და რეალური ეკონომიკური პროცესების ინტეგრაციაზე (დადებითი ან უარყოფითი გაგებით კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე) მსოფლიო ბაზრის მიმართ ქვეყნის გახსნილობის შესაბამისად;

5. საზოგადოებაში ფულადი დაგროვებისა და შემოსავლების განაწილება (მაკროდონეზე) გავლენას ახდენს რეალური ინვესტირებისათვის ფინანსური რესურსების კონცენტრაციის შესაძლებლობებზე, საქონელსა და მომსახურებაზე

მასობრივი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ჩამოყალიბებაზე, რომლის წყალობითაც იქმნება რეალური ინვესტირებისაკენ მიმართული ფინანსური რესურსების მომგებიანობისა და ანაზღაურებადობის საფუძველი. თუ ორივე ზემოთ აღნიშნული ფინანსური რესურსების და ფულადი საშუალებების კონცენტრაციის პოლუსი საკმარისი მასშტაბითაა წარმოდგენილი, ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმართება რეალურ სექტორში. შესაბამისად, იქმნება პირობები საფინანსო და რეალურ-საინვესტიციო რესურსების ინტეგრაციისათვის. თუ ეს პოლუსები ნაშლილია, რეალურ ეკონომიკაში საინვესტიციო აქტივობა ქვეითდება და იზრდება გარღვევა ფინანსურ და რეალურ საინვესტიციო რესურსებს შორის.

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს მეორე ნიშანი ეკონომიკის მაკროდონეზე

ეკონომიკის მაკრო-დონეზე სსს მეორე ნიშანი (დაიყვანება ამა თუ იმ სახის ურთიერთქმედებამდე ან დაფინანსებისა და რეალური ინვესტირების ეკონომიკური სუბიექტების შეერთებამდეც კი) დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის მასშტაბით სსს ინსტიტუციონალური სტრუქტურის წარმოქმნასთან, შეცვლასა და განვითარებასთან. მაკრო-დონეზე სსს მეორე ნიშანს წარმოადგენს რეალურ სექტორსა და საფინანსო-საკრედიტო სფეროში მართვის, რეგულირების, კონტროლის ორგანოებისა და სხვა შესაძლო მეურნე სუბიექტების სისტემა. სსს ინსტიტუციონალური სტრუქტურა-სპეციფიკური პრობლემაა. მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ქვეყნის მიერ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, სამეურნეო მექანიზმის ტიპის, ეკონომიკური განვითარების კურსის არჩევის კონტექსტში. ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ რამდენად ყალიბდება სსს ინსტიტუციონალური სტრუქტურა ზემოდან, მართვის სახელმწიფოებრივი აპარატის ზემოქმედებით და რამდენადმე ქვემოდან, მეურნე სუბიექტების ინიციატივის შედეგად.

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს მესამე ნიშანი ეკონომიკის მიკროდონეზე. სსს მესამე ნიშანი, რომელიც მდგომარეობს ფინანსური და საინვესტიციო რესურსების ურთიერთკავშირისა ან გაერთიანებაში, ეკონომიკის მაკროდონეზე წარმოგვიდგება, ერთის მხრივ, რეალური საინვესტიციო რესურსების სტრუქტურული თანაფარდობის ან ურთიერთქმედების სახით და, მეორე მხრივ, ფინანსური რესურსების სახით. იგი მთლიანად სახალხო მეურნეობის მასშტაბით ალბათობის საკმაო ხარისხით

ხასიათდება. საფინანსო და რეალურ საინვესტიციო რესურსებს შორის ურთიერთქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ფულადი მასის სიდიდესა და რეალური საქონლისა და მომსახურების არსებული მასის თანაფარდობას. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფულადი მასის სტრუქტურების (მაგალითად, „გრძელი“ და „მოკლე“ ფული, ფულის კონცენტრაცია მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნილებისათვის ან ფუფუნების საგნებზე ან საზღვარგარეთის ბანკებში ფულადი დანაზოგების გატარების მოთხოვნილების მქონე პირთა ვიწრო ფენის დასაკმაყოფილებლად), ასევე საქონლისა და მომსახურების სტრუქტურების გათვალისწინებას (მაგალითად თანაფარდობა სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელსა და მომსახურებას შორის).

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციური აქტივობის განმაპირობებელ წამყვან ფაქტორებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ფულის მასისა და საქონლის მასის თანაფარდობა. ამ აქტივების ზრდის პროპორციულად ერთმანეთს უახლოვდება ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსები, ხოლო ინვესტიციური აქტივობის დაქვეითებისას რესურსების ეს ორი სახე შორდება ერთმანეთს. სწორედ ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების ფარგლებში ფულად და სასაქონლო მასებს შორის სტრუქტურული თანაფარდობა განსაზღვრავს რეალური საინვესტიციო აქტივობის ხარისხს, რაც განაპირობებს ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების დაახლოების და სინთეზის ხარისხს.

ფულისა და საქონლის მასის სტრუქტურის იგნორირებას მივყავართ ამ მასებს შორის თანაფარდობის პრობლემის მოხსნამდე. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ერთი ციტირება: ფულის დინამიურ მოდელში არ არსებობს „ბევრი ან მცირე“. თუკი მისი ფიზიკური ოდენობა აღემატება მიმოქცევის მოთხოვნილებას, ეკონომიკა მას პასუხობს ინფლაციით, თუ ფული არასაკმარისია, მაშინ – „დეფლაციით“. საქონლისა და ფულის მასა სტრუქტურირებული რომ არ იყოს, განსაკუთრებით დარგთაშორისი კავშირების ჯაჭვის მიხედვით, მართლაც, ასე იქნებოდა.

მაგალითი 1. დავუშვათ, ფულის მასა მცირდება ხუთჯერ. თუ ყველა მომწოდებელი საპასუხოდ ხუთჯერ შეამცირებს ფასს საქონელზე, ეკონომიკაში, მართლაც, არაფერი შეიცვლებოდა იმ ჰიპოთეზურ შემთხვევაშიც კი, რომლის დროსაც ფულის მასა გაიზარდებოდა 10-ჯერ და ზუსტად 10-ჯერ, ფულის

მასის ზრდასთან ერთად, გაიზარდებოდა ფასებიც. თუმცა რეალურ ეკონომიკაში და არა აბსტრაქტულ-ჰიპოთეზურში, საქონლის მომწოდებლებს არა აქვთ შესაძლებლობა, ასე სწრაფად შეამცირონ თავიანთი საქონლის ფასები ფულის მასის შემცირების პროპორციულად, ისევე როგორც არ შეუძლიათ გაზარდონ ფასები ფულის მასის ზრდის შესაბამისად. დარგთაშორისი კავშირების მეტად რთულ ჯაჭვში ზემოთაღნიშნული გარემოების მიზეზი ისაა, რომ მომწოდებლებს აკავებთ მათთან მიმართებაში მყოფი მომწოდებლების ფასები საქონელსა და მომსახურებაზე. ამ ჯაჭვში უამრავი მონოპოლისტია, რომელიც აფერხებს ფასდაკლების პროცესს. მაგრამ მათ გამო ფასდაკლების პროცესს მკვეთრად ამუხრუჭებენ ან წყვეტენ სხვა მომწოდებლები გაკოტრების შიშით. მათ არ შეუძლიათ ფასების შემცირება ფულადი მოთხოვნის შემცირების შესაბამისად, თუკი მათი მომწოდებლები, შესაბამისად, არ შეამცირებენ ფასებს, მათთვის – სხვა მომწოდებლები და ა.შ. თუ ფასდაკლება მოხდება მათი კონტრაგენტების ფასების შემცირების გარეშე, მალე ბანკროტები გახდებიან.

მაგალითი 2. ახლა დავუშვათ, რომ ფულის მასა უეცრად გაიზარდა 10-ჯერ. აბსტრაქტულ-ჰიპოთეზურ ეკონომიკაში ფასები ყველა საქონელზე ასევე გაიზარდებოდა 10-ჯერ. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ყველა წევრის შემოსავალი გაიზარდება თითოეულისა 10-ჯერ. თუმცა ფულის მასის ასე სწრაფი ზრდის დროს ყოველთვის ხდება ფულადი შემოსავლების გადანაწილება. დავუშვათ, რომ ფულის მასის ზრდა 10-ჯერ უმეტესწილად მოდის ქვეყნის მოსახლეობის 10%-ზე, რომელსაც უმნიშვნელო მოთხოვნილებები აქვს სამამულო წარმოების საქონელზე და ამჯობინებს ჭარბი ფულის დაგროვებას უცხოურ ვალუტაში.

ამის შედეგად, მასობრივი წარმოების საქონელსა და მომსახურებაზე მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნილება ნაკლებად ამაღლდება. ძლიერ გაზრდილი ფულის მასა ინფლაციურ წნეხს მოახდენს წარმოების დანახარჯებზე, რომ გაუძღონ მის ზრდას, მწარმოებლები იძულებული იქნებიან მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი ფასები. მასობრივი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების შედარებითი შემცირებისას ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ გაყიდვის და წარმოების მოცულობის შემცირებით, რადგან რამდენადაც მაღალია ფასი, მით ვიწროა მყიდველთა წრე. საბოლოოდ კი წარმოიქმნება სტაგფლაცია – ფასების ზრდისა და წარმოების მოცულობის შემცირების შერწყმა.



ფინანსური რესურსების სტრუქტურირების ორი მიმართულება

ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების ურთიერთქმედება (ფართო გაგებით – ფულისა და საქონლის მასის) სტრუქტურირებულია დასაწყისიდანვე და ხორციელდება ფასის მეშვეობით. და მართლაც, ნებისმიერი საქონლის ფასში მოცემულია მოცემული თანხის (ფასის სიდიდის) შესაბამისობა მკაცრად განსაზღვრულ საქონელზე. იგივე შეიძლება ითქვას მომსახურებაზეც. ამასთან, რეალურ საინვესტიციო რესურსებზე ფასები წარმოადგენენ ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების ურთიერთქმედების საწყის სტრუქტურირებას.

ფინანსური რესურსების ნაკადის მოძრაობის და რეალური საინვესტიციო პროცესების განხორციელების კვალდაკვალ ხდება მათი ურთიერთქმედების შემდგომი სტრუქტურირება ეკონომიკის ყველა დონეზე. მ.შ. მაკროდონეზეც.

ფინანსური რესურსების სტრუქტურირება ხდება ეკონომიკის ყველა დონეზე მეურნეობრიობის სუბიექტების განკარგულებაში ფულადი საშუალებების მიზნობრივი ფონდების წარმოქმნის ორი გზით:

- ინვესტიციების დაფინანსებისათვის განკუთვნილი რესურსები (განვითარების ფონდი, საამორტიზაციო ფონდი და ა.შ.)
- მოსახლეობის ძირითად მასას შორის გასანაწილებელი ფულადი საშუალებები. ინვესტიციური თვალსაზრისით ისინი უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე მოსახლეობის მასობრივ მსყიდველობითუნარიან მოთხოვნილებას და ქმნიან საბაზრო საფუძველს ეკონომიკის მაკროდონეზე. (შრომის ანაზღაურების ფონდი მიკრო-, მეზო- და მაკროდონეებზე, საპენსიო ფონდები და ა.შ.).

ეკონომიკის დინამიური და პროპორციული განვითარება ითვალისწინებს ფინანსური რესურსების სტრუქტურასა და რეალური საინვესტიციო რესურსების სტრუქტურის ურთიერთშესაბამისობას.

რეალური საინვესტიციო რესურსები სტრუქტურირებულია შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ხარისხი და ტექნიკური დონე;
- ფასების დონე;
- საინვესტიციო საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა სახეებზე ფასების დონის თანაფარდობა;
- რეალური საინვესტიციო რესურსების სხვადასხვა სახეებს შორის რაოდენობრივი პროპორციები;

- რეალური საინვესტიციო რესურსების ქვეყნის ტერიტორიაზე განაწილება (რესურსების მრავალი სახის არამობილურობის ან მცირემობილურობის გათვალისწინებით);

- მეურნეობრიობის სხვადასხვა სუბიექტების – სახელმწიფო და კერძო – მხრიდან მრავალფეროვანი რეალური საინვესტიციო რესურსების ფლობა.

რეალურ სექტორში ყოველი ცალკე აღებული საინვესტიციო პროექტი რეალური ინვესტიციური ციკლია, რომელშიც საფინანსო და რეალური საინვესტიციო რესურსები ამოქმედებული და სინთეზირებულია რეალური საინვესტიციო პროექტის დაფინანსების პროცესიდან დაწყებული და მისი ანაზღაურებადობით დამთავრებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ რეალურ საინვესტიციო ციკლში ფინანსური და რეალური საინვესტიციო რესურსების მფლობელ მეურნე სუბიექტებს-განმკარგულებლებს შორის ხორციელდება ურთიერთკავშირი (შერწყმაც კი), შეიძლება დავასკვნათ, რეალურ საინვესტიციო ციკლში არსებობს სსს სამივე ნიშანი:

ა) ფინანსური ნაკადების და რეალური საინვესტიციო პროცესების ინტეგრაცია;

ბ) ფინანსებისა და რეალური საინვესტიციო პროცესის სუბიექტთა ურთიერთქმედება ამ სუბიექტების შერწყმამდეც კი;

გ) საფინანსო და რეალური საინვესტიციო რესურსების ურთიერთქმედება და სინთეზი რეალური საინვესტიციო ციკლის ყველა სტადიაზე.

ამრიგად, რეალური საინვესტიციო ციკლი – ეს სსს არსებობის დინამიური ფორმაა. იგი სსს ეკონომიკის მიკროდონეზე რეალური საფინანსო-საინვესტიციო ციკლების იერარქიულად ორგანიზებული სისტემას წარმოადგენს.

საფინანსო-საინვესტიციო სფეროს მოკლე მიმოხილვა საერთაშორისო დონეზე

მსოფლიო ეკონომიკა არასაკმარისადაა ინტეგრირებული ერთი ან იერარქიულად ორგანიზებულ სისტემად რეალური ეკონომიკისა და რეალური ინვესტირების ასპექტით (მსოფლიო სავალუტო-სა-კრედიტო სისტემა – ცალკე საკითხია). ამდენად, საუბარი სსს არსებობაზე მსოფლიო დონეზე ნაადრევია. თუმცა მისი ცალკეული ფრაგმენტები და ნაწილები, როგორც ჩანს, წარმოიქმნება.

ერთობლივი რეალური საინვესტიციო პროექტები ორი და მეტი ქვეყნის მეურნე სუბიექტების მონაწილეობით იყოფა ოთხ სახეობად:

- სახელმწიფოთაშორისი;

- სხვადასხვა ქვეყნების მეურნე სუბიექტების კერძო (პირადი) ინიციატივის საფუძველზე განხორციელებული. ისინი ერთმანეთისაგან ყოველმხრივ დამოუკიდებლები არიან. მათ აკავშირებთ მხოლოდ ერთობლივი საინვესტიციო პროექტი;

- რამდენიმე ქვეყნის, ან თუნდაც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების (თჩ) მიერ რეალიზებადი. ამ შემთხვევაში, ინვესტიციის ობიექტის ერთი ქვეყნის ტერიტორიით შემოფარგვლის მიუხედავად, ადგილი აქვს საერთაშორისო ტიპის საინვესტიციო პროექტს, რადგან ამ პროექტის განხორციელება ხდება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ჯაჭვში;

- ზემოთ დასახელებული სამი სახეობიდან ამა თუ იმ კომბინაციით შერეული ტიპით ამოქმედებული.

რეალური საინვესტიციო პროექტები საერთაშორისო დონეზე გვევლინებიან ან როგორც ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების გაგრძელება მაკროდონეზე, ან როგორც ქვეყნის შიგნით მეზო-ეკონომიკური სტრუქტურების გაგრძელება მსხვილი მრავალდარგოვანი კორპორაციების შექმნის სახით, როცა ამგვარი კორპორაციები გადიან საერთაშორისო არენაზე და იქცევიან ტრანსნაციონალურ კორპორაციებად. ეს უკანასკნელები ეროვნული სახელმწიფოების ანალოგიაა ყველა გაგებით. მათი ეკონომიკური საქმიანობის მოცულობები შეჯერებულია მრავალი ქვეყნის წარმოების მოცულობებთან. მათ არა აქვთ მხოლოდ საკუთარი ტერიტორიები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებზე კონტროლს. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური და ფინანსური ძლევამოსილება და გავლენა იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: მათი სახით ადგილი აქვს განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფოს – ექსტერტერიტორიული სახელმწიფოების წარმოქმნას.

ყოველი ტრანსნაციონალური კორპორაციის შიგნით არსებობს იერარქიულად ორგანიზებული სისტემა სტრუქტურირებული მთლიანი სსს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ცალკეული ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ფარგლებში.

საქართველომ აუცილებლად უნდა განავითაროს არა მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოები, არამედ მსხვილი მრავალდარგოვანი კორპორაციებიც (რამდენიმე დარგის მაინც), რომლებიც სახელმწიფოს დახმარებით გავლენ მსოფლიო ბაზარზე და გადაიქცევიან ტრანსნაციონალურ

კორპორაციებად, ხოლო მათი შტაბ-ბინები ადგილს დაიღებენ ჩვენს ქვეყანაში. ამგვარი კორპორაციების არსობრივ ბირთვად უნდა იქცეს სსს.

დასკვნა

საინვესტიციო საქმიანობის, ინვესტიციებისა და ინვესტირების თეორიული კვლევის პრობლემები ამა თუ იმ კუთხით თეორეტიკოს მეცნიერებისა და პრაქტიკოს მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, კაპიტალური დაბანდებისა და ინვესტირების რთული ფენომენის შესწავლას, მისი თეორიული გენეზისის, საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტის, უცხოური ინვესტიციების, საინვესტიციო პროექტების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევას მივუძღვენი მრავალი სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია და სახელმძღვანელო (10,11,12,13,14,15 და ა.შ.).

წინამდებარე სტატიაში გაკეთებულია აღნიშნული სფეროს თეორიული ასპექტების რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა, კერძოდ:

ინვესტიციები - ეს არის რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების დაბანდებანი პროექტებში, რომელთა განხორციელებას მივყავართ მათერიალურ-ნივთიერი და ინფორმაციული ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი (ფინანსური) სიმდიდრის ან მხოლოდ ამ უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე). როგორც ეკონომიკური კატეგორია, ინვესტიციები გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური რესურსების გამოყენებისა და ფორმირების მიზნით, წარმოების სრულყოფისა და გაფართოების მიზნით.

ინვესტიციების სფერო სახალხო მეურნეობის დარგების უზრუნველყოფი გაფართოებული კვლავწარმოების საინვესტიციო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა. მისი მატერიალური საფუძველია სხვადასხვა სახის საინვესტიციო რესურსები (ბუნებრივი, ტექნიკური, ფინანსური, შრომითი და სხვა), რომლებსაც შეიძლება ვიყენებდეთ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტირებისთვის, საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე სახსრების დაბანდების ჩათვლით.

ინვესტიციების სფერო ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებისა და განვითარების საფუძველია. ინვესტიციების სფერო ეკონომიკურ ურთიერთო-

ბათა ის არეალია, სადაც როგორც წესი, მიმდინარეობს ამა თუ იმ ინოვაციის მატარებელი მეურნე სუბიექტების სტრატეგიების რეალიზება. ამ სტრატეგიების რეალიზების მთავარ ფორმად გვევლინება ინვესტიციები, რომლებიც ინვესტიციების პროცესში ტრანსფორმირდება და, მამასადამე, იდება (ჩანაფიქრი) რეალურად ისხამს ხორცს.

სისტემური მიდგომა მეცნიერული შემეცნებისა და სოციალური პრაქტიკის მეთოდოლოგიის ის მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების განხილვა სისტემადად; მას იმ ინსტრუმენტარიუმად იყენებენ, რომელიც კვლევას წარმართავს ობიექტის მთლიანობითობის აღმოჩენისკენ, მასში მრავალფეროვანი კავშირების გამოვლენისკენ და ერთიან კომპლექსად მათი თავმოყრისკენ. სისტემური მიდგომა თავისი არსით დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების კონკრეტიზაციაა, რომლის ფარგლებში ინვესტიციის პროცესი შეგვიძლია განვიხილოთ იმ ოპერაციების (საქმიანობის სახეების) სერიად, რომელიც საწყის მასალაზე ხორციელდება (პროცესის შესავალი). მის ფასეულობას ადიდებს და გარკვეულ შედეგს (პროცესის გამოსავალს) განაპირობებს.

ინვესტიციის პროცესი არ არსებობს თავისთავად და ყოველთვის მომდევნო დონის რომელიმე სივრცეშია ჩართული, ე.ი. იგი უნდა განვიხილოთ მთლიანობითი მიდგომის ფარგლებში, სივრცულად სხვა სისტემებთან ურთიერთკავშირში. ეს შესაძლებლობას გვიქმნის, ამომწურავად აღვწეროთ ინვესტიციის პროცესის ადგილი და როლი, როგორც საქმიანობის ცალკე აღებულ სფეროში, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაშიც.

შრომაში დასაბუთებულია მოსაზრება ეკონომიკური და ფინანსური კატეგორიის-საინვესტიციო კომპლექსის ცნებისა და არსის შესახებ; აგრეთვე დავეყრდენით რა ი. ბრეჟჰემისა და მ. ერდჰარდტის მიერ დასაბუთებულ ფინანსური მენეჯმენტის სამ განშტოებას;

1. საფონდო ბაზრებს (Capital Markets) _ აქციები, ობლიგაციები, ფიუჩერსები, ოპციონები, ფორვარდული გარიგებები და სხვა და ფულად ბაზრებს (Money Markets), აგრეთვე საფონდო დაწესებულებებს,

ბებს, ინსტიტუტებს (Financial Institutions) და მათში მომუშავეებს, მათ მომსახურე პერსონალს;

2. ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ფორმირებულ პორტფელების (portfolios) აგების ამოცანებს;

3. კორპორაციული ფინანსების (Corporate Finance) სფეროს, რომლებიც ცალკეული ფირმების ჩარჩოებში მიღებული საინვესტიციო პროექტების შესახებ გადაწყვეტილებებს მოიცავს (3, გვ. 134).

ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია აუცილებლად აიხსნას: მეცნიერულად დასაბუთდეს და პასუხი გაეცეს კითხვას - თუ კი ფინანსების სფერო სამი ურთიერთდაკავშირებულ მდგენელს: ა) ფინანსური ბაზრებსა და ინსტიტუტებს; ბ) ინვესტიციების და გ) ფინანსების ოპერატიულ მართვას მოიცავს, მაშინ „რკინის ფარდის“ იქეთ და აქეთ მდგომი სწავლული ეკონომისტების უმრავლესობა, თუ ყველა არა, დღემდე რატომ თამამად, გაბედულად არ ჩაერთავთ ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრებაში, კაპიტალის დაბანდებას, უბრალოდ, ინვესტიციების ცნებასაც?

ცხადია, ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბუნების ასახსნელად (ვიწრო და ფართე გაგებით), ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით, ისტორიული კუთხით, მისი ბუნების, შინაარსისა და მდგენელების, კერძოდ, ფულის, კრედიტის, კაპიტალის დაბანდების ანუ ინვესტიციების არსისა და ცვლილებების ახსნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ფინანსების, ფულის, კრედიტის, ინვესტიციების ცნობილი, საერთოდ მიღებული განმარტებების შედარება, შეჯერება, ერთიანი და განსხვავებული ნიშან-თვისებების ჩამოყალიბება და მათი ანალიზი. შემდეგ კი გადავწყვიტოთ, რამდენად და როგორ შეიძლება მათი ინტეგრირება ერთიან მთლიან ნაწილად და რა სახით (12, გვ.89).

დაბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე შრომა საინვესტიციო სფეროსადმი მიძღვნილი შრომათა ციკლის თეორიულ ასპექტებს წარმოადგენს. სტატიათა ციკლის შემდეგი შრომები მიეძღვნება საკვლევი სფეროს შესწავლის მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ მხარეებს.